ხელშეკრულება № 21

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 17 ივლისი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზი თაბუკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორგსერვისი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია:

1) ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები CPV 22800000 კოდით 144.60 ლარი ;
2) სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა CPV 22900000 კოდით 33.50 ლარი ;
3) საოფისე მანქანა-დანადგარები აღურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა CPV 30100000 კოდით 89.20 ლარი ;
4) ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები CPV 37800000 კოდით 130,00 ლარი ;
5) სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები CPV 44400000კოდით 14.60 ლარი ;

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 411.95 (ოთხასთერთმეტი ლარი 95 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის გამზირი N175;)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შ.პ.ს. „ორგსერვისი“	სსიპ ქ. ქუთაისის N36 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის გამზ. 51/2ა	მის: ქ.ქუთაისის, თაბუკაშვილის გამზირი N175;
ტელეფონი: 032 204 11 00	ტელ: (0431)291167
საიდენტიფიკაციო კოდი: 212693851	საიდენტიფიკაციო კოდი: 212706936
საბანკო რეკვიზიტები: სს "პროკრედიტ ბანკი",	საბანკო რეკვიზიტები: სს "ვითიბიბანკი
საბანკო კოდი: MIBGGE22	ჯორჯია“ მომსახურე ბანკის კოდი – UGEBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE28PC0133600100067722	საბანკო ანგარიში GE51VT0500000036363408
დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე	დირექტორი: თენგიზ თაბუკაშვილი
----------	----------

ხელშეკრულების საგნის აღწერა

დანართი №1

№	საქონლის დასახელება, პარამეტრები და ტექნიკური მახასიათებლები	CPV კოდი	რაოდენობა (ცალი)	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ფაილი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4, 30მკრ. 100ცალი 31106	22852100	შეკვრა	10	3.95	39.5
2	საქაღალდე ბაინდერი A4-S.2 554 A4 5სმ. ფართე	22851000	ცალი	20	2.5	50
3	საქაღალდე კონვერტი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4 31301	22852000	ცალი	5	0.7	3.5
4	რვეული A4 96ფ. COTI "იბერია" 0%	22815000	ცალი	10	2	20
5	რვეული სასკოლო 96ფ. EUROPAP /პოლონური/ 0%	22815000	ცალი	5	0.95	4.75
6	რვეული სასკოლო 48ფ. EUROPAP /პოლონური/ 0%	22815000	ცალი	5	0.6	3
7	საქაღალდე ფაილებით პლასტ. PAPIRUS ECONOMIX 20 ფურც. A4 30602	22852000	ცალი	2	2.4	4.8
8	საქაღალდე ფაილებით პლასტ. PAPIRUS ECONOMIX 60 ფურც. A4 30606	22852000	ცალი	3	5.2	15.6
9	საქაღალდე მუყაოს ბაფთიანი A4	22852000	ცალი	10	0.35	3.5
10	პლასტილინი LUCH CLASSIC 12 ფ. 7C 331-08	24952000	ცალი	5	4.3	21.5
11	წებო მშრალი PAPIRUS OPTIMA 15გრ. 45214	24910000	ცალი	10	1.2	12
12	კალამი ბურთულიანი UNIMAX, Fine Point Gold Dlx , UX-139-01 Black	30192121	ცალი	10	0.85	8.5
13	კალამი ბურთულიანი UNIMAX, Fine Point Gold Dlx , UX-139-02 Blue	30192121	ცალი	10	0.85	8.5
14	კალამი ბურთულიანი UNIMAX, Fine Point Gold Dlx , UX-139-06 Red	30192121	ცალი	10	0.85	8.5
15	ქაღალდი ქსეროქსის ფერადი A4 80გრ. 100ფ. MIX	30197644	შეკვრა	2	4	8
16	კონვერტი A4 ZARFSAN LIZY თეთრი 229*324 110გრ.	30199230	ცალი	50	0.2	10
17	მარკერი პერმანენტული koh-i-noor 7740053802KS შავი	30192125	ცალი	5	1.35	6.75
18	მარკერი პერმანენტული Kooh-i-noor 7733150002TE თეთრი	30192125	ცალი	5	1.85	9.25
19	ფლიპჩარტი AXENT 8064-A 64*90სმ 30ფ	30196200	ცალი	3	9.9	29.7
20	ცარცი თეთრი Dolphin 10ც	37822300	ცალი	100	1.3	130
21	სკოჩი ხაოვანი DELI 30013 12mm*18m	44424200	ცალი	10	0.3	3
22	სკოჩი შეფუთვის DELI 30185 45mm*200y გამჭვირვალე	44424200	ცალი	2	5.8	11.6
	ჯამი:			**292**		**411.95**

გადასახდელი თანხა: **411.95** (ოთხასთერთმეტი ლარი 95 თეთრი) ლარი.

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „ორგსერვისი" სსიპ

დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე

შემსყიდველი

ქ. ქუთაისის N36 საჯარო სკოლა

დირექტორი: თენგიზი თაბუკაშვილი

ხელწერილი

(ინტერესთა-კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. ქუთაისი

17 ივლისი 2019 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საკანცელარიო ნივთების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს . შესაბამისად ვადასტურებთ , რომ სსიპ ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლასა და შპს ,,ორგსერვისი"ს დირექტორ ხვიჩა ნემსაძეს შორის გაფორმებული ხელშეკულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

საჯარო სკოლის დირექტორი: თენგიზი თაბუკაშვილი

შ.პ.ს. „ორგსერვიზი"ის დირექტორი: /ხ.ნემსაძე/